№ 111

ხუთშაბათი, 26 მაისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 111

ხუთშაბათი, 26 მაისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
ენდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადების:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 28 მაისს.**

**თავადი ილია ავეტის ძე ანდრონიკაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მეუღლისა თვისისა **მარიამ ევგარაფის ასულის ანდრონიკაშვილისას**, (ენგლუნდის ასული), სთხოვს დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენებას პარასკევს, ამ თვის 27-ს, დილის 10 საათზედ. წირვას გადაიხდიან ქვაშვეთის ეკლესიაში და წირვის შემდეგ წაასვენებენ სოფ. გურჯაანში დასაკრძალავად. პანაშვიდი იქნება ხუთშაბათს, დილის 10 საათსა და საღამოს შვიდს საათზედ.

## „ივერია“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ტ ფ ი ლ ი ს ი,**
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

სატელეგრ. ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

მოსკოვის ურთიერთთა შორის ჭირნახულის სეტყვისაგან

## დამზღვეველ საზოგადოების წარმომადგენელისაგან

კავკასიაში ვენახების პატრონების სურვილისა თანახმად, რომელთაც მოინდომეს თავიანთ ვენახების დაზღვევა, **მოსკოვის დამზღვეველ საზოგადოებამ** გადასწყვიტა შეუდგეს დაზღვევას საუკეთესო მოსავლისას, (ვენახისა, სვიისა, თამბაქოს და ბამბის პლანტაციებისა და სხვ). და თავისი განყოფილებაც დააარსოს ტფილისში, თუ დასაზღვევი ფული აიწევს 500,000 მანეთამდე და თუ ამ ფულიდგან დაზღვევის დასაწყებად შემოტანილ იქნება ხსენებულ ჯამის 3% საწევრო გადასახადისა (მე-40 § ი წესდებისა).

რადგანაც მოახლოვებულია ჭირნახულის გამანადგურებელ სეტყვის დრო, ამიტომ მოვიწვევ ბ-ნთ ბაღ-ვენახების პატრონთ, რომელთაც თავიანთ მამულების დაზღვევის სურვილი უკვე აღიარეს და ჯერ არ შემოუტანიათ განცხადება, რომ დააჩქარონ შემოტანა საწევრო ფულისა, რომლის გადახდის შესამსუბუქებლად ვადა არის დანიშნული და შეუძლიანთ 4—8 წლამდე ნაწილ-ნაწილად გადახდა, შემოსატან ფულის რაოდენობისდა გვარად.

საწევრო ფულს ვიღებ თვით მე, ვაძლევ წესდებასა და ბლანკებს და აგრეთვე ყოველსავე საჭირო განმარტება-ახსნას საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10—12 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა, აგრედვე „სევერნი ნომრებში“ 2—4 საათამდე.

აქავე შეიძლება დაზღვევაც ნათესობისა. საწევრო ფულს იღებენ აგრეთვე ამ საზოგადოების აგენტები.

დამზღვეველ საზოგადოების წარმომადგენელი, ინსპექტორი
პ. მ. ოკულიჩი

(10—1177—9)

### ტფილისი, 26 მაისს

—

კენჭის ყრის წინად აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სურვილისამებრ თავადის ილია ჭავჭავაძისა, რაზედაც დათანხმდა თავადი ივანე მაჩაბელიც, დანიშნულიყო კომისია. ამ კომისიას უნდა დაედოს ვალად გამოიკვლიოს ყოველი ბრალდება ოპოზიციის წარმომადგენლის თავადის ივანე მაჩაბლისა, რომელსაც-კი სდებს იგი თავადს ჭავჭავაძეს საბანკო საქმეთა შესახებ, და მეორეს მხრით ამ გვარივე ბრალდება თავადის ჭავჭავაძისაგან თავადის მაჩაბლის წინააღმდეგ.

თითოეული ამათგანი პირობასა სდებს, რომ სამუდამოდ განშორდეს ყოველ საზოგადო ქართულს საქმეს, თუ კომისიისაგან მტყუანად იქმნა ცნობილი.

ამ გვარი პირობა, რასაკვირველია, ძნელია და საფრთხილო, მაგრამ რაკი ორივე მხარემ ასე ისურვა, რა გაეწყობა! როდესაც ბრძოლა იმ ხარისხამდე გამწვავდება, როგორის ბრძოლის მოწამეც ჩვენ ვიყავით ამ ორის კვირის განმავლობაში, უეჭველად თითონ საქმისთვისაც უმჯობესი უნდა იყოს, რომ დასასრული მიეცეს ამ დაუბოლოვებელს შფოთსა და საზოგადოების აღელვებას.

ამ აზრით უნდა იქნეს არჩეული კომისია. იგი განარჩევს ყოველსავე და იტყვის: დამნაშავეა, ან არ არის დამნაშავეო.

ბ-ნმა ნიკოლაძემ ჩინებულად განმარტა ამ კომისიის მოვალეობა: „იგი უნდა აღიჭურვოსო“, სთქვა ჩვენმა პუბლიცისტმა; „მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ამ შემთხვევაში ეს კომისია მომრიგებელი შუამავალი-კი არ არის, არამედ იგია მსაჯული, რომელმაც უნდა სთქვას—ან ჰო ან არაო“.

ბ-ნის ნიკოლაძის აზრის ჭეშმარიტება ცხადი იყო მთელის კრებისთვის და არა გვგონია, რაიმე დაბრკოლება გადაეღობოს ამ საქმეს წინ.

თუმცა კრების დიდმა ნაწილმა არ ცნა საჭიროდ ასეთის კომისიის დანიშვნა, მაგრამ თვით თავ. ჭავჭავაძემ სთხოვა საზოგადოებას, რომ კომისია უთუოდ დანიშნული იყოს. ,,თუმცაო“, სთქვა თავ. ჭავჭავაძემ: ,,თქვენი დღევანდელი განაჩენი ჩემს შესახებ, ამირჩევთ თუ არა, სრულიად საკმარისი მსჯავრი იქნება ჩემთვის, მაგრამ ეს კომისია საჭიროა იმათთვის, ვინც ვერას ჰხედვენ, ანუ არ უნდათ დაინახონ საქმის ნამდვილი მდგომარეობაო... აი, კომისიის განაჩენი სწორედ ამ ჯგუფისათვის არის საჭიროო“.

ბატონმა ნიკოლაძემ კიდეც დაასახელა თავადი სიმონ გრიგოლის ძე წერეთელი, ბ-ნი ნიკოლოოზ დავითის ძე ზუბალაშვილი და ივანე დავითის ძე ღუნღულიშვილი ხსენებულის კომისიის წევრებად, როგორც ისეთნი კაცნი, რომელნიც არას მხრით არ ურევიან ახლანდელ დასთა ბრძოლაში.

თავადი ჭავჭავაძე სრულიად თანხმა შეიქნა ამ გვარის კრებულისა, მაგრამ თავადმა მაჩაბელმა-კი ვერ გამოაცხადა ამ გვარივე თანხმობა და ითხოვა, რომ თანასწორი რიცხვი, სამ-სამი ამოვირჩიოთ ორისავე დასიდგან, ისინიც აირჩევენ საერთოდ თავმჯდომარეს და აი, ამ შვიდმა კაცმა გადაწყვიტოს ჩვენი დავაო.

ასე იქნება თუ ისე, რასაკვირველია, ბოლო უნდა მოეღოს ამ დაუსრულებელს შფოთიან მდგომარეობას.

წრევანდელმა კენჭის ყრამ ბევრი ისეთი გარემოება გამოიწვია, რაც სრულიად არ არის სასურველი, და რომელიც დიდად ცუდი ნიშანია ჩვენის ცხოვრების წარმატებისათვის. საჭიროა, რომ იმ გვარის ხასიათის მოქმედება, რომელმაც მწერლობაშიაც-კი იშოვნა ბინა, დაგმობილ იყოს და დაგმობილ იყოს იმ გვარად, რომ აღარავის არ ჰქონდეს მადა ამ ჩინებულსა და ჭეშმარიტად სამაგალითო წესიერს საზოგადოებაში გესლი და უკეთურობა შეიტანოს.

ორის კვირის განმავლობაში ამ საზოგადოებამ დაამტკიცა, რომ იგი დიდ მომზადებული ყოფილა არა თუ საბანკო საქმეთა საბჭოდ, არამედ ბევრად უდიდესის საქმისათვის. ამიტომ ცოდვაა ასეთს დიდებულს კრებულში ისეთის ზნისა და წესების შეტანა, რომელიც სრულიად უცვლის ფერს და ხასიათს ამ სანუგეშოსა და ჩინებულს კრებ ს.

მეველე

—◆◆—

„მიდის-მოდის გაბრიელი,
არვინა ჰყავს მადლიერი“.

ხალხური

გაიგე: ჩემსა მოძმეებს
ჰქონდათ საქმეზედ კიჟინი,
უმღვიათო ანგარიშები
პირადი, შური და ჟინი.

—

მით გული სტკივათ უკეთესთ,
დრტვინვენ, არიან მწუხარე!..
არ დაიჯერე—სიჩქარით
გორტოხი გადმოკიარე!

—

მოვედ და ვნახე, რა ვნახე?!
ვაი, რას დამსგავსებიან!
ძმა-ძმას, მამა-შვილს, მოყვასნი
ერთმანეთს შესჯახებიან!..

—

და გუშინდელი მშვიდობა,
გულ-წრფელობასა ძალ-ღონე
გაჰქრალა... მიმონავარდობს
ბოროტი, ტანჯვათ-მომგონე!..

—

ორი დასია... ვიფიქრე:
სწორედ არს უბედურება;
ვსთქვი—არც ერთს მივეკედლები,
არავინ დამემდურება...

—

ამ ამბავს სრულად უკლებლად
დავესწრებ და დავასაბუთებ,
სალხინ-სატირალს უცვლელად
შევკრებ და დავასურათებ...

—

დავჯექ და წერა დავუწყე
ამბავსა ტარიელისას,
მათის ამქრების ფრიდონის
და ტყუილ ავთანდილისას!..

—

ვნახე, რომ ერთმა ნაწილმა
ბლვერა დამიწყო განზედა,—

## ფელეტონი

—

**ისტორიული ოფოფები**

(პასუხად ჩემს კრიტიკანებს და განსაკუთრებით ბ-ნს გ. წერეთელს: უკურღვევა მისის წერილისა: „როგორ აშენდა გელათი“, „კვალი“, №№ 12 და 13).

იმ თავითვე, როდესაც მე 1892 წელს ვითხოვე საზოგადოების დახმარება ჩემის შრომის დასაბეჭდად, ერთმა წრემ ჰორიკანაობისამ გადასწყვიტა თურმე, რომ ყოველის ძალ-ღონით ხელი შეეშალათ ჩემთვის. ერთმა ამ კრებულის წევრმა, ცნობილმა პედაგოგმა, ბ-ნ გ. წერეთლის ჟურნალს „კვალში“ დაბეჭდა კიდეც სტატია, რომელშიაც სასაცილოდ აიკლო ჩემი განზრახვა, ჩემი უვიცობა, „სხოლასტიკობა“ (ესმოდა-კი ავტორს, რა ხილია სხოლასტიკობა?) და თვით ჩემის „ქრონიკების“ დამკვეთელნი უშვერ სიტყვებით აიგდო. ამასთან უსახელო ავქსონმან (ჩემნი მოწინააღმდეგენი სულ უსახელონი გახლავან) იწინასწარმეტყველა კიდეც, რომ ჩემგან დაპირებული „ქრონიკები“ მეორე საუკუნეს გამოვაო, ე. ი. არას დროს არ გამოვაო. რა თქმა უნდა, რომ ყოველივე ესე იყო გამოთქმული დაუსაბუთებლად, უსაფუძვლოდ, მაგრამ ჩემნი მოწინააღმდეგენი მაინც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათს სიტყვას, თუნდაც უსაბუთოს, დაიჯერებდენ. აკი ბევრმა კიდეც დაუჯერა...

მაგრამ ბ-ნ გ. წერეთლის „კვალმა“ ესეც არ იკმარა და, როგორც-კი გაზეთს „ივერიაში“ გამოვიდა ჩემი წერილი ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში, იმ წამსვე მოგვახალა რამდენიმე კითხვები, რომელშიაც გამოსთქვა ის აზრი (რასაკვირველია დაუსაბუთებლად), ვთომ ჩვენ ბევრი რამ შეგვეთხზოს, გამოგვეგონოს, გვეცრუვნოს, და ამასთანავე აღვგვითქვა, «კრიტიკა» უნდა დაგიწეროთო. ჩვენც არ დაგვიშლია და დიდის სიამოვნებით ველოდით აღთქმულს «კრიტიკას», მაგრამ ამაოდ. ხოლო „კვალის“ მედიდურობას ყური არ ვათხოვეთ, მით უმეტეს რომ ამ მედიდურობასთან, რომელსაც სახელი ჰქვია mania grandiosa, «კვალმა» აღმოაბრწყინა ერთი მეტად შეუნდობარი ჩვეულება—სხვისის აზრის გადამახინჯება, თვისს გემოზე გადაკეთება. ამ გვარის სენით ავადმყოფთან, სწორედ მოგახსენოთ, ძნელია საუბარი.

„ყბედს რა მოღლისო?—მუნჯიო“: მეც მრწამდა ეს ხალხური სიბრძნე და გავუმუნჯდი ბ-ნს გ. წერეთელს. მაგრამ „კვალისტებზე“ ეს სიბრძნეც ვერ სჭრის თურმე; წინააღმდეგ ამისა, ჩემმა გამუნჯებამ ბ-ნი გ. წერეთლის უქმ-სიტყვაობას სულ ფრთები შეასხა და ბოლოს იმ წერტილამდი აღიყვანა, რომ თუ „მტყუანს ტყუილის კარებამდი არ მისდიეთ“, შეიძლება მას ისეთივე ხაფათი აუტყდეს, როგორიც მოსდის ხოლმე ფრთა ასხმულს ჭიანჭველას: „ჭიანჭველას რომ ფრთა აესხმება, ღმერთიც მაშინ გაუწყრებაო“ (ხალხური ანდაზაა).

მოგეხსენებათ, რომ როდესაც უშანგყარანგოზოვ-პოჩიტატელთა თვისის ცილის-წამებით ჩემ წინააღმდეგ გამოილაშქრეს იმ მარჯვე დროს, როდესაც პეტერბურგიდამ ჩამობრძანებული ჩემი მთავრობა აქ კარს გვადგა და გამოილაშქრეს განგებ რუსულ გაზეთში, რათა ჩემს მთავრობასაც გაეგონა მათი უწმიდური ცილის-წამება, სწორედ იმავე დროს და იმავე იარაღით ჩვენ წინააღმდეგ დაიქუხა ბ-ნმა გ. წერეთელმა „კვალში“, სადაც დაიბეჭდა მისი, ვითომ კრიტიკული სტატია: „როგორ აშენდა გელათი?“ („კვალი“ №№ 12 და 13).

ამ გრძელს თვისს წერილში ბ-მა გ. წერეთელმა გამოსთქვა: „დიმიტ. ბაქრამე ამბობდა, რომ წმიდა გიორგის ეკკლესია ბაგრატ მესამის აშენებულიაო. ამავე აზრს, თუმცა საეჭვოდ და არადაბეჯითებით იმეორებს ბ-ნი თ. ჟორდანია იმ წერილობითი (?) საბუ-

ჩვენო საქმეზე ვლაპარაკობდით,
ის სტუმრის სიტყვას ბანზედა...

—

მივალ, ავუხსენ შეცდომა,—
არ დამიჯერეს არაფერი...
ტყვილად მომიცდა რწმუნება,
ჭეშმარიტების ნაღარა...

—

ვიფიქრე: ჩემდა მსაჯულად
მაინც დარჩება ნაწილი,
და რაა—გასწყრეს უვარგი
ჯიუტი, ვითა უმაწვილი?!.

—

ერთ-ორ დღეს იქით შევხედე,
რომ სხვებიც მემდურებიან!..
დამდგარან ჩემნი მოყვასნი
და სიცილითა კვდებიან...

—

მეუბნებიან: ძმობილო!
თუ რომ გინდოდა მადლობა,
გაკჩუმდებოდი... რა შენი
საქმეა სხვისი გამდლობა!..

—

მე ვდგევარ, გულში ვიცინი...
სულ არ ვარ ამით მწუხარე...
ვკლავ დავსწერ, რა რომ გორტოხი,
ამისთვის გადმოვიარე...

—

რასაც შევხედავ, დავხატავ,
რად მინდა მათი მადლობა,
არც მათგან გზისა ჩვენება,
მოწყალება და გამდლობა!..

გრ. აბაშიძე

# ახალი ამბავი

***** ოთხშაბათს, 25 მაისს, ღამის 12 საათზედ დასრულდა კენჭის ყრა თ. ილ. გრ. ჭავჭავაძისა სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობის თავმჯდომარის თანამდებობაზე. ამ დროს შეუდგნენ კენჭის ყრას. მთელი დარბაზი თეატრისა სავსეა. თეთრი კენჭი ამოუვიდა 989. საზოგადოებამ შავის თვლას აღარ დააცადა, ასტყდა ქუხილი ტაშისა, ლოჟებიდგან ქალები ფეხზედ წამოდგნენ და ვარდებს აყრიდნენ თ. ილ. ჭავჭავაძეს, რომელიც სცენაზედ იდგა და მადლობას უხდიდა. ტაშის ცემამ თითქმის 20 წუთს გასტანა. ამის შემდეგ საზოგადოება ძლივს დაწყნარდა და ასისტენტი თ. გ. ი. ორბელიანი შეუდგა შავის კენჭის ყრას. შავი კენჭი ამოუვიდა 334. აქ კვლავ გაისმა საშინელი ტაშის ცემა, რომელმაც დიდხანს გასტანა. მაშინ თ. ილ. ჭავჭავაძემ სთქვა: „მადლობა მოეხსენებიან იმათთვის, ვინც ამომირჩია და ნდობა გამომიცხადა. ხოლო ვინც არ ამომირჩია, ღმერთსა ვსთხოვ იმათთვის შემაძლებინოს, რომ იმათაც დაენახოთ ის, რაც უმრავლესობამ დაინახა“. კვლავ ასტყდა ტაშის ცემა და კვლავ მადლობა გადაუხადა თ. ჭავჭავაძემ შემდეგის სიტყვებით: „ასე მიღება ჩემის არჩევანისა, ეს სიხარული ისეთი ღრმად გულში ჩასაბეჭდია, რომ მე ყბედსაც-კი ენა დამიდუმდა. ღმერთმა შემაძლებინოს, რომ თქვენი ნდობა, თქვენი სიხარული მართლა სიხარულად გადაგიქციოთ ჩემის მოქმედებით“. კვლავ ხანგრძლივი ტაშის ცემაა. ერთხელ კიდევ იძულებული იყო გადეხადა თ. ჭავჭავაძეს მადლობა და აი ამ სიტყვებით მიმართა საზოგადოებას: „საღმრთო წერილში სწერია, რომ ნამეტანობისაგან გრძნობისა ბაგენი ჰმეტყველებენო და მე იმავ ნამეტანობისაგან გრძნობისა ენა დამიდუმდა, მაგრამ ეს დუმილიც-კი თქვენდა მადლობად მიიღეთ“. კვლავ ხანგრძლივი ტაშის ცემა და ერთხმად „ვაშა“ გაისმა. საერთო აღტაცებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

გაზეთი დასაბეჭდად იყო, რომ რედაქციაში მოგვივიდა შემდეგი ამბავი კენჭის ყრისა, შესახებ უგანათლებულესის თავადის პეტრე გრუზინსკისა და თავადის ნიკოლოოზ ანდრონიკაშვილისა, რომელნიც იქნენ არჩეულნი ზედამხედველ კომიტეტის წევრად.

***** ელექტრო-ტეხნიკების ამხანაგობას, რომელთაც აქვთ აღებული თამამშოვის ქარვასლის ელექტრონით განათების საქმე მიუმართავს ქალაქის გამგეობისათვის და უთხოვნია ნება მოგვეცით, მახლობელ შენობებშიაც სინათლის გაყვანისაო. ამასთან ერევნის მეიდნის შუაგულში დიდს ბოძს გავაკეთებთ ეიფელის კოშკის მაგვარს, რომლის თავზედაც გამაგრებული იქნება ელექტრონის ფანარი და გაანათებს როგორც თამამშოვის ქარვასლას, აგრეთვე მთელს ერევნის მოედანსაო.

***** სოფ. იანეთი (იმერეთი): დიდის მხიარულებით მოველოდით გაზაფხულს და კიდეც ვეღირსეთ ღვთის მადლით, მაგრამ ეს გაზაფხული ჯერ საიმედოს ვერაფერს გვიქადის.

თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ დაჩაგრულ გლეხ-კაცის გამამხიარულებელი ხვნა-თესვაა და ყოველსავე თავისს მწუხარებას გლეხ-კაცი მუშაობაში ივიწყებს და ერთობა.

წელს ისეთი გვალვაა ჩვენსკენ, რომ უმეტესი ნაწილი საყანე ადგილებისა ჯერაც ხელ-უხლებელია. თუ ამ გვალვამ ასე გასტანა დიდხანს, უეჭველია, ძალიან შეაფერხებს ჩვენი მუშაობის საქმეს და დიდს ზარალსაც მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

ჩვენ ასე გვენატრება წვიმა, მაგრამ არ გვეღირსა და სხვა სოფლებში, როგორც სჩანს, დიდი ავდრები ყოფილა. თერთმეტს ამ თვეს გუბის წყალი ისე ადიდებული მოვარდა ჩვენს სოფელში, რომ კალაპოტიდგან გადმოიარა და მრავალს ახლო-მახლო საყანესა და საძოვარს ადგილებზე გადადიოდა. ზოგ ადგილას კიდეც მოჰგლიჯა მიწა და ზოგანაც მოსილა მინდვრები. როცა დაიკლო წყალმა, გავედით ადგილების დასათვალიერებლად და აქა-იქ სილაში ჩაფლული თევზები ვიპოვნეთ ზოგი მკვდარი და ზოგიც ისევ ცოცხლები.

გუბის წყალმა თუმცა ხშირად იცის ადიდება, მაგრამ ამ ნაირ ბლომად რომ თევზები გამოერიყოს, ეს იშვიათი შემთხვევაა.

სახადი, ღვთის მადლით, ჯერ-ჯერობით არ არის ჩვენში. ზამთრის სტუმარმა ინფლუენციამ იკლო და ციებ-ცხელებას ჯერ არ უჩენია თავი.

***** ცხინვალი: სოფ. დგვრისში (ცხინვალზე ახლოა) შიგ შუა სოფელში სასაფლაო უძევთ ცხვირ წინ და ვერ მოუხერხებიათ, მოშორებით გადატანა; არამც თუ ვერ მოუხერხებიათ, პირ-იქით, ერთი აყალმაყალი იყო ამას წინად მის კვამლეურად გაყოფაზე. არა ჩვენ ბევრნი ვართ, ბევრი გვინდა და შენ ვინა ხარ „რა ხელი გაქვსო“. ურიგო არ იქნებოდა, რომ ვისიც ჯერ არს ყურადღება მიექცია ამ გარემოებისათვის და სოფლის შუა გულიდან ცოტა მოშორებით დაენიშნა სასაფლაო.

***** სართიჭალის ნაწილი 8—15 მაისამდის შემდეგი ავაზაკობანი მოხდა სართიჭალის ნაწილში. 12 მაისს ღამე ერთ ქვრივ დედაკაცს გაბუჩიშვილისას შეუცვივდნენ სახლში ქურდები, სცემეს, თავი გაუტეხეს, ხანჯლით დასჭრეს ხელში, სტანჯეს, მანამ იპოვიდნენ ფულს, რომელიც იმ კვირაში მიიღო სირაჯისაგან ღვინის ფასი. წაიღეს თხუთმეტი თუმანი და ფარჩა სამას არშინამდინ. ეს დედაკაცი ვაჭრობდა წვრილმანითა. წასვლისას ავაზაკებმა შეუკრეს ხელები და ფეხები ქალმის თასმებით, მოახვიეს თივზედ საბანი, ააქციეს ტახტი და ფიცრები ზედ მიაყარეს. როცა ავაზაკები წავიდნენ, რის წვალებით გამოძვრა ფიცრებიდან საბრალო, გაიხსნა ფეხები და ხელებშეკრული მივიდა მეზობლისას და დახმარება სთხოვა. მეზობელმა შეატყობინა მამასახლისს. მამასახლისმა მეორე დღეს შეატყობინა ბოქაულს. ბოქაულმა შეადგინა ოქმი და შეუდგა ქურდების ძებნას, მაგრამ ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. წაღებულ ბარგიდგან ზოგიერთი სოფლის თავს იპოვეს.

***** 11 მის ს. უჯარმაში გასტეხეს ერთის გლეხის სახლი. ვერა იპოვეს-რა წასაღები, ორის ბალდადისა და ერთის ბეჭდის მეტი. ქურდი, იქავე მცხოვრები გლეხი, დილმელაში შეიპყრეს.

***** 10-ს მაისს, მუხროვანში პარკის კამანდრის ჩერკავსკის სახლს ამოსჭრეს ფანჯრის შუშა, გაალეს ფანჯარა და საკუჭნაო ოთახიდგან წაიღეს ბალიშები და სხვა წვრილმანი ავეჯი.

ამავე რიცხვებში კნეინა დარია დადიანის მეწისქვილეს აუჰრეს ცხენი წისქვილის ეზოდგან, იმ ცოტა ხანში თორმეტ თუმნათ ნაყიდი.

***** ს. მუხრავანში ვანკა მაქოროვს მოჰპარეს ერთის წლის ბოჩოლა.

***** 23 მაისს ძველ-არსენალის ქუჩაზე მცხოვრებელმა ლუკიანოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ სადგურიდამ 50 მან. სახელმწიფო ხაზინის ორი მომგებიანი ბილეთები მომპარესო. დამნაშავენი აღმოჩნდნენ ჯარის კაცი დუბენსკი და პატარა ბიჭი სანდრო ჯავახაშვილი, რომელნიც უკვე შეიპყრეს. ერთი ბილეთი უპოვნეს და პატრონს გადასცეს.

***** 24 მაისს განოვის ქუჩაზე საფაროვის თამბაქოს ქარხანაში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლს ბევრი ზარალი არ მოუხდენია, სახლიცა და ქარხანაც დაზღვეულია 50000 მანეთში.

## ნაწყვეტები

—

მწუხრმწუხრს, ჩამოდი მთიდამა,
ქალამზე გულის ბარადა,
იდგა მთვარესავითა,
სიცოცხლე უჩანს არადა,
არცარასა სჭამს, არცა ჭსვამს,
ოხრავს და კვნესის მწარადა,
შენ აგონდები დღე და ღამ,
ცრემლებს აწვიმებს ღვარადა.

დ. მაჩხანელი

## ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ მამულო ბანკის კრება

25 მაისს

დილის რვა საათის მაგივრად სხდომა ათს საათზედ დაიწყო.

ყოველი საკითხავები, რაც ან პრაგრამაში იყო მოხსენებული, ან და ოპოზიციისაგან პრაგრამას გარეშე აღძრული, როგორც მაგალითად თ. ფავლენიშვილის საქმე და სხვა, დაბოლოვდა დღეს. გუშინდელი ანგარიშის დაბოლოება და დღევანდელი ანგარიში ისეთი რთული და მძიმე არის, რომ რედაქციას არავითარი ძალღონე არ ჰქონდა მკითხველისათვის გარდაეცა მისი სრული შინაარსი და სახე. მხოლოდ ვიტყვით, რომ დღევანდელი სხდომა მოგაგონებდათ იმ უკანასკნელს წამს ბრძოლისას, რო-

თების ძალით, რომელნიც მას დაუბეჭდია თავის ქრონიკებში (იხილე 144 და 202 გვერდი). მიუცილებლად დიმტ. ბაქრაძესაც უნდა ჰქონოდა ეს წყაროები, რომელნიც თ. ჟორდანიას თავის მიერ აღმოჩენილად მიაჩნია“ („კვალი, № 12). ამ ნაირად გ. წერეთელსაც იმავე იარაღით და იმავე ბრალმდებლობით გამოულაშქრნია ჩემ წინაალმდეგ, რა იარაღითაც გამოვიდნენ ჩემნი უხელო მოწინააღმდეგენი, ე. ი. სიცრუვით და უსაბუთობით. ყოველივე აქ თქმული სრულიად მოკლებულია სიმართლეს, როგორც აქვე დავამტკიცებთ: დ. ბაქრაძეს არც ერთს მისს თხზულებაში არ გამოუთქვამს აზრი, ვითომ გელათის წმიდა გიორგის ეკკლესია აღეშენებინოს ბაგრატ III-ეს (ეს ერთი ოფოფი!). ეს შეთხზული უნდა იყოს ბ-ნ გ. წერეთლისაგან იმ განზრახვით, რათა ამ გამოგონილს სიცრუეზე აღაგოს ის ბრალი, ვითომ „მიუცილებლად დ. ბაქრაძესაც უნდა ჰქონოდა ხელში ეს წყაროები, რომელნიც თ. ჟორდანიას თავის მიერ აღმოჩენილად მიაჩნია“ და მაშასადამე, ბ-ნ გ. წერეთლის აზრით, ჩემი ცნობები მე უნდა გადამეწეროს დ. ბაქრაძის შრომიდამ ამ უკანასკნელის დასკვნისთვის.

მაგრამ გ. წერეთლის ბრალმდებლობაში მე ის უფრო მაოცებს, რომ თუმცა ჩემის „ქრონიკების“ ცნობას გელათის წმიდა გიორგის ბაგრატ მე-IV-ის მიერ აშენებაზე ზედვე აკრავს სამოწმებელი, რომ ეს ცნობა წერა-კითხვის ბიბლიოთეკის ხელნაწერიდამ № 252 არის ამოღებული-მეთქი, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის და მაინც გაიძახის: მიუცილებლად დ. ბაქრაძისგან მოტაცებული ცნობა იქნებაო. თუ გ. წერეთელს ეჭვი შეეპარა ჩვენგან დასხმულს სამოწმებელზე, მას ადვილად შეეძლო შეემოწმებინა იგი წერა-კითხვის ბიბლიოთეკის ზემოხსენებულ (№ 252) ხელნაწერთან. აქ რა უნდა ან დ. ბაქრაძეს, ან პ. იოსელიანის და ან უსუსურთა მოსალორებლად ატეხილს მითქმა მოთქმას? ვაი ჩვენს დაკნინებას და დაქვეითებასა, რომ ამ გვარს ყოვლად უსაფუძვლო ჭორიკანულს მითქმა-მოთქმას ჩვენ'ში თურმე ბაზარი ჰქონია!—და თუმცა ყოველს ცნობებს ჩვენის „ქრონიკებისას“ მუდამ მისდევს ისიც, თუ რომელ ხელნაწერებიდამ ამოღებულია ის ცნობები, სად იპოვება და რომელ №№-ით ის წიგნი და სხვა-და-სხვა, მაგრამ ზოგიერთნი დაჟინებით გაიძახიან, რომ ვითომ ჩემი „ქრონიკები“ პ. იოსელიანის ანუ დ. ბაქრაძის შრომა იყოს და არა ჩემი!!?

სხვა არა იყოს რა, ეს ხომ ყველასათვის დღესავით ცხადია, რომ ჩემს «ქრონიკებში» მრავალი ახალი ისტორიული და ქრონოლოგიური ცნობები არის შეტანილი, რომელიც არ იპოვება არც პ. იოსელიანის ნაწერებში და რა ძნელი მისახვედრია, ეს ცნობები რომ მათ ჰქონოდათ ხელში, რად არ შეიტანდნენ თვისს ნაწერებში. დ. ბაქრაძემ თავისი ისტორია დაჰბეჭდა რამდენისამე თვით სიკვდილის წინ, ხოლო ვახუშტის ისტორია თავისის შენიშვნებით დაჰბეჭდა 1885 წ. ახლა წარმოიდგინეთ, თუ რომ დ. ბაქრაძეს ხელში ჰქონოდა ჩვენს „ქრონიკებში“ მოქცეული ცნობები, როგორ არ ჩაურთავდა იგი ამ ცნობებს თვისს ისტორიაში, სადაც დ. ბაქრაძე ვერ ასცილებია ვახუშტ-ბროსსეს ქრონოლოგიას და ცნობებს და იმეორებს (მათსავე შეცდომებს და ნახტომებს, რომელნიც ჩვენს „ქრონიკებში“ სრულიად და საბოლაოდ გამტყუნებულია და გამორკვეული? ეს მე ისე ცხადად მიმაჩნდა ყველასათვის, რომ ამ გვარს ჭორებზე პასუხის დაწერა მეტი მეგონა. მაგრამ რაკი ჩვენს დახელოვნებულს მეჭორიკანებს საოცარი და თითქმის სასწაულებრივი ძალა ჰქონიათ, ამის გამო შემდეგ ჩვენ უფრო ვრცლად და ცხადად გამოვააშკარავებთ მოწინააღმდეგეთა სიცრუეს. ეს ჩემთვის სრულიად გაადვილდა ახლა, როდესაც აქამდე ნამალავ-ნაკრძალი ნახევარი სადაო ისტორიულის კრებულისა, შემდეგ პ. კარბელოვის საბუთიანის წერილისა, როგორც იყო გამოაჩინეს და მაშასადამე, საშუალება მოგვეცა ჩვენის ქრონიკების ცნობები შევუდაროთ ორსავე ნახევარს ხსენებულის კრებულისას. მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ჯერ „უშანგ ყარანგოზოვმა“ და „პოჩიტატელმა“ ნიღაბი ჩამოიხსნან, უჩინმაჩინის ქუდი მოიხადონ და გამოაცხადონ თავისი ნამდვილი სახელ-გვარი, თორემ, დამეთანხმენით, რას ემგვანება, რომ ბოლოს ცალიერ სახელების და აჩრდილების დევნა-ღა შემრჩეს?

მაგრამ რაკი ჩემ წინააღმდეგ მხოლოდ გ. წერეთელმა იკადრა ცხადად, სახელ-გვარის მოწერით და არა უსახელო სახელით გამობრძანება, ამის გამო ვალად ვრაცხ პასუხი ვაგო. ბ-ნი გ. წერეთელი იმითაც გაირჩევა სხვა ჩემ მოწინააღმდეგეთა გუნდისაგან, რომ მან „უშანგ-პოჩიტატელის“ მეთოდის გარდა, პირველად შეეხო ჩვენს შრომას კრიტიკულად, თუმცა აილო მარტო ერთი კითხვა ჩვენის შრომისაგან: ვინ აღაშენა გელათი?

მაგრამ კრიტიკაც არის და კრიტიკა. ხოლო გ. წერეთლის „ჩვენებურს“ კრიტიკას უსაბუთო-უსაქმიანობასთან აქვს კიდევ ორი მეტად საწყენი ნაკლი: ერთი ის, რომ ეს ჩემი პირველი კრიტიკანი, როგორც ქვემოდ დავამტკიცებთ, გულ-წრფელი არ არის და მიუდგომელი; მას ცხადად ეტყობა—წყურვილობა ჩემის გათახსირების და ამ წყურვილის მოსაკლავად ყოველს არა-კანონიერს საშუალებას ხმარობს. ხოლო მეორე და უმწარესი ნაკლულევანება გ. წერეთლისა, როგორც კრიტიკისა, ის გახლავთ, რომ იგი გატაცებულია იმ ოცნებით, ვითომ იგი იყოს გენიოსი და დიდი მცოდნე ისტორია-არქეოლოგიისა და ამ ოცნებით შეკრულ-შებორკილი სხვის აზრს ვერას გზით ვერ იღებს, ვერ იწონებს, თუნდაც რომ იმაზედ უნათლესად დაუმტკიცოთ. მოვიყვან აქ ერთს, მაგრამ დიაღ მსხვილს მაგალითს: მოგეხსენებათ, რომ ბედიის ტაძარი აშენებულია ბაგრატ მესამის მიერ; ამაზედ ვრცლად მოგვითხრობს თვით ბაგრატ III-ის მატიანე (ქ-ცხ. I, გ. 211—212), რომელიც, როგორც ჩვენ დავამტკიცეთ, თანამედროვესაგან არის დაწერილი (ჩემი „ქრონიკები“ „გვ. XL). ყველა დიდ-დიდნი მეისტორიენი ამავე აზრს ადგნენ აქამდის. ხოლო ჩვენმა „ქრონიკებმა“ არა თუ დაამოწმეს ბედის ბაგრატის მიერ აშენება, არამედ თვით წელიწადიც უჩვენეს იმის აღშენე-

დესაც ორივ მხრით ჯარი, ხელ-დახელ ჩარეული, ივიწყებს თავს, სახლს, კარს, მოვალეობას, უფლებას და ინსტიქტიურად ებრძვის მტერს, რომ მაინც და მაინც დამაარცხოს!.. რასაკვირველია, ამ ომის დროსაც იყვნენ ისეთნი, მხოლოდ ძალიან ცოტა, რომელთაც ამ გამარჯვების აზრი ესმოდათ, ესმოდათ ჩვენის მომავლისათვის საჭიროება... დიაღ, იყვნენ ისეთნი, რომელნიც ოპოზიციის მოქნეულს ხმალს—ფარს ახვედრებენ და ამარცხებენ, მისთვის, რომ მათი ბრძოლა არ იყო საკეთილდღეო... ამგვარმა ომმა გამოიწვია: ხმაურობა, ყვირილი, წესის დარღვევა, უკადრესი ქცევა და უფლების გარდასვლა!.. ეხლა მხოლოდ აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი: ტფილისში შესდგა ესრედ წოდებული „ნეიტრალთა“ პარტია, რომელმაც მოინდომა საზოგადო, საბანკო საქმეების შესწავლა და იმის ახსნა, თუ იმ ბრძოლაში, რომელიც არის თ. ილ. ჭავჭავაძის და თ. ივ. მაჩაბლის შორის, და რომელიც თვით ბანკის საქმეებისათვის საშიში თუ არა—საფრთხილო მაინც იყო... ამ „პარტიაში“ ბევრი ახალგაზდა და ბევრი კარგად მომზადებული და ხნიერი კაცები იყვნენ. ამ „პარტიამ“ დიდი ხანი იმუშავა და ისე მოვიდა კრებაზედ; მაგრამ ერთი სიტყვა, ერთი კრინტი, ერთ-ორის გარდა, არ დაუძრავს, ისე ისმენდა კამათს, რომ საბოლოოთ თავისი მსჯავრი წამოეთქვა.

და აი, დღეს ერთი მათი წარმომადგენელი ბ. მიხ. ყიფიანი, რომელსაც მთელმა „პარტიამ“ დაავალა მოეხსენებია კრებისათვის „ნეიტრალთა“ გარდაწყვეტილება ადგა და შემდეგი სთქვა:

ბ.ბ. მე უნდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა, როგორც „ნეიტრალურ“ წრის წამომადგენელმა, რადგანაც ამ წრემ დამავალა ჩვენი აზრის კრებისადმი მოხსენება... კარგა ხანია ბრძოლა ატყდა საბანკო საქმეების შესახებ თ. ჭავჭავაძის და თ. მაჩაბლის შორის; სიტყვიერად, თუ წერილობით თ. მაჩაბელი სხვა-და-სხვა ბრალსა სდებდა ჭავჭავაძეს.

აი, ამისათვის შესდგა «ნეიტრალთა» წრე, რომელიც გულ დასმით შეუდგა ყოველი საბუთის, გარემოების და დამტკიცების ამ საგნის შესახებ შესწავლას!.. შეისწავლა ბანკის საქმეები და შემდეგ სამის კაცისაგან შემდგარი დელეგაცია გაგზავნა თ. ივ. მაჩაბელთან, რომ მას ეჩვენებინა ყოველივე საბუთები ყველა იმ ბრალდებათა დასამტკიცებლად, რასაც იგი თ. ჭავჭავაძეს აბრალებდა. თ. მაჩაბელმა წარმოუდგინა თავის საბუთები: 1892 წლის „Нов. Об.“ ფურცლები, სადაც ამ საგნის შესახებ მას აზრი ჰქონდა წარმოთქმული. უჩვენა ანონიმნი ბროშურა, რომელშიაც ნაჩვენები იყო თ. ჭავჭავაძის დანაშაულებანი და ბოლოს მიუთითა „ვეტერანთან“ პოლემიკაზედ. ამასთანავე დასძინა, რომ მე ამათ გარდა ისეთი საბუთები მაქვს, რომელნიც ამ ერთის წლის განმავალობაში შევკრიბე, რომ მათი ჩვენება არც თქვენთვის და არც ჩემის მომხრესათვის არ შემიძლიან; მხოლოდ შეიძლება ისინი კრებას ვუჩვენო და ავუხსნაო...

ჩვენ წამოვედით, ამოვირჩიეთ კომისია და შეუდექით ყოველისავე ამის გამოკლევას, ახსნას, შეგონებას და შესწავლას...

კომისია და ყველა ჩვენ წრფელის გულით და სვინდისით ვიკვლევდით ამ საქმეს და გვინდოდა, რაც უნდა ყოფილიყო, სიმართლემდის მიგვეღწია...

კარგს ხანს მოუნდით საქმის ვითარების გამოაშკარებას, რადგანაც დაგვჭირდა ბანკის ყოველი საქმე მოგვეთხოვა და გაგვეჩხრიკა.

თ. ივ. მაჩაბელი ამტყუნებდა და ამტყუნებს თ. ჭავჭავაძეს: 1, ზარალი მოუტანა ბანკსაო; 2, ანა-ბანა არ იცის ბანკის და მისის საქმეებისაო და საზოგადოდ ყოველ ჩვენს საქმეში ის მავნეაო; 3, ზარმაცია, გულ-ქვა და 4 კერძოობის მიმყოლიაო. მაგრამ, აღვიარებთ სინიდისს ქვეშ, ყოველივე ეს ბრალდება ჩვენის შეხედულობით და აზრით ცარიელი ბრალდებაა, სრულიად დაუსაბუთებელი; მხოლოდ ერთად-ერთ საბუთად, როგორც ეს ოპოზიციის მოთავეთა «რეჩებმა» და პროგრამამ გამოაჩინა, ისა აქვს თ. ჭავჭავაძის მოპირდაპირეთ, რომ იგი მეტის მეტი შკვიანი არისო. ისე ჩაიარა ამ სხდომებმა, რომ ერთი კრინტი, ერთი ხმა არ ამოგვიღია; დიდის გულ-დასმით ვისმენდით კამათს, გაცხარებულს ბრალდებას, იმ აზრით, რომ იქნება რაიმე საბუთი გვეპოვნა თ. ჭავჭავაძის გამამტყუნებელი, მაგრამ, ბბ. არც თქვენ შეგიძლიანთ უარის თქმა, რომ ამგვარი საბუთი არ აღმოჩნდა!.. და სწორედ ეს უსაბუთობა, ეს უბრალო ბრალდება გვინდოდა ჩვენ გულ-წრფელად გამოგვეცხადებინა კრების წინაშე!.. არამც თუ საბუთი, არამედ არც ერთმა აქ წარმოთქმულმა ერთი უბრალო ჩრდილიც იჭვეულობისა ვერ მიაყენა თ. ილია ჭავჭავაძეს... ყოველივე ეს მიიღეთ სახეში და გადავსწყვიტეთ, რომ ერთად-ერთი კანდიდატი გამგეობის თავმჯდომარის ადგილზედ არის თ. ილ. ჭავჭავაძე და არა სხვა!... ჩვენ, ბატონებო! იმ აზრისა გახლავართ, რომ ცალკე კომისიის ამორჩევა მათდა განსასჯელად, სრულიად ფუჭია! ფუჭია, რადგან თ. ჭავჭავაძის სიმართლე ყველასათვის ნათელია; ვინც აქამდის არ დარწმუნდა ამაში, იმას ვერავითარი კომისია ვერ დაარწმუნებს!..

თ. ილია ჭავჭავაძეს ჩვენი წრე ყოველის მისის საქმეებისათვის უცხადებს გულითად მადლობას, სრულს ნდობას, პატივისცემას, როგორც ჩვენს კანდიდატს... (ვაშა!)..

ხუთს საათზედ დაუდგეს ყუთები ასარჩევად ზედამხედველი კომიტეტის წევრად დასახელებულ კანდიდატებს:

უგ. თ. პეტრე ალექსანდრეს ძეს გრუზინსკის, თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილს, თა დ. ა. გურამიშვილს, ა. ი, კობიაშვილს, თ. ალ. ზ. ჩოლოყაშვილს, თ. ვ. მ. თუმანიშვილს, თ. ლ. გ. ჯანდიერს, პ. ი. ყიფიანს, გ. დ. ჟურულის თ. რ. დ. ერისთავს.

ახლად დაარსებულის მეოთხე გამგეობის წევრის (დირექტორის) ადგილზედ: უგ. თ. მიხეილ ალექსანდრეს ძეს გრუზინსკის.

გამგეობის წევრების კანდიდატებად: 1, თ. ალ. რ. ვახვახიშვილი და 2, დ. ერ. ჩოლოყაშვილი.

თავმჯდომარედ დამფასებელის კომისიისა: ბ. კონსტანტინე ფურცელაძე და ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ადგილზედ: თ. ილ. გრ. ჭავჭავაძე

კენჭის თვლა დასრულდა დილის ოთხის ნახევარ საათზედ. ყველა აქ დასახელებული კანდიდატები ამორჩეულ იქმნენ. დაწვრილებით შემდეგ.

# დეპეშა

24 მაისი

**პეტერბურგი.** კამერგერი იზვოლსკი დაინიშნა მინისტრ-რეზიდენტად რომის პაპის კარის წინაშე.

**ვლადივოსტოკი.** 21 მაისს, დილის 7 საათზედ მოვიდა პირველი მატარებელი სადგურ სპასსკოვზედ, უსურიის რკინის გზის 226 ვერსზედ.

**ვენა.** „Neue Freie Presse“-ში დაბეჭდილია ნალაპარაკევი ნაჩევიჩისა, რომელსაც უთქვამს, რომ ოსმალეთთან და სხვა დანარჩენ სახელმწიფოებთან ვეცდები ვიქონიო ძველებურად მეგობრობა; განსაკუთრებით-კი ვიმეცადინებ ჯიბრში არ ჩავუდგე რუსეთს სტამბულოვისავით.

25 მაისი

**სოფია.** ახალის სამინისტროს გაზეთი „Свободно слово“ ამბობს, რომ სტამბულოვი თავის ცოდვათა სიმძიმემ დასცა ძირსო, ბოლგორიის ერს აღარ შეეძლო იმის ძალ-მომრეობის ატანაო; სტამბულოვმა, სამსახურიდამ გადადგომა მხოლოდ თვალის ასახვევად მოინდომა და ნამდვილად-კი ჰსურდა პრინცის კობურგელისათვის ძალით არ შეეწყნარებინებინა თავის სამსახურიდგან გადადგომა. მაგრამ ამ ხრიკით იგი ფონს ვერ გავიდა; მისი სამსახურიდგან დათხოვნა უკვე საბოლოოდ იყო გადაწყვეტილი იმ დროდგანვე, როცა მან დიქტატურობისაკენ გაიწვდინა ხელი. ეხლა ქვეყნის მმართვა მინდობილი აქვს ნაცადსა და პატიოსანს კაცებს; ამათ უმთავრესად ის ექმნებად საგნად, რომ მოსპონ პოლიციის თვით-მნებელობა და ფლანგვა სახელმწიფო ქონებისა.

**რომი.** დღეს პალატაში, როდესაც ყველანი სმენად იყვნენ გადაქცეულნი კრისპიმ განაცხადა, რომ სამინისტრომ თხოვნა მიართვა სამსახურიდგან გადადგომის შესახებ მეფეს, რომელიც თავისს გადაწყვეტილებას ამ საქმის გამო შემდეგ გამოაცხადებსო. სამინისტრო იმიტომ არ ანებებს ჯერ-ჯერობით თავს თავისს თანამდებობას, რათა განაგოს მიმდინარე საქმენი და აღასრულოს ხარჯთ-აღრიცხვა საადმინისტრაციო გზითაო· კრება შეჩერებულია,

პეტერბურგის ბირჟა, 24 მაისი

| | მყიდველი | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,49 | 7,52 | —,, |
| ტამოჟნის კუპონები | 144 1/2 | 150 1/4 | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | —, | —,, | —,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | —,, | —,, | 247 |
| —მეორისა | —,, | —,, | 225 |
| 4% მესამე სესხისა | —,, | —,, | —,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოგებ. ფურცელი | 191 | —,, | —,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | —,, | 101 1/2 | —,, |
| 5% | —,, | 101 | —,, |
| ქუთაისის ბანკის 6% | —,, | 101 1/2 | —,, |
| 5% | —,, | 100 | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | —,, | 101 | —,, |

---

ბისა—999 წელი (იხ. ჩემი „ქრონიკები“, გვ. 137). ამასვე უმეტესად და საბოლოოდ ამტკიცებს ილორის ეკლესიაში დაცულის თვით ბაგრატ III-ის მიერ შეწირულის ოქროს ბარძიმის წარწერა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ბედიის ტაძარი აღშენებულია ბაგრატ III-ს და მისის დედის გურანდუხტ დედოფლისაგან (იხ. ჩემი „ქრონიკები“, გვ. 137). ყველა ეს მზა-მზარეული საბუთები გ. წერეთელს ხელში ჰქონდა, ხოლო ილორის ბარძიმი დასურათდა თვით გ. წერეთლის „ნახატებიანს“ ჟურნალს „კვალში“.

ამაზე მტკიცე და შეურყეველი საბუთები შეუძლებელია მოიძებნოს. მაგრამ ბ-ნ გ. წერეთელი არავითარს დამტკიცებას და დასაბუთებას არ უჯერებს იქ, სადაც მას თავისი ოცნებური მოსაზრება და არქეოლოგიურის გენიოსობის mania grandiosa აპარპაშებს, და აჰა გაიგონეთ, რას გაჰქუხს გ. წერეთელი თვისის „ხუროთ-მოძღვრებისა მეცნიერების“ მწვერვალიდამ: „თუმცა ბედიის ტაძრის აშენებას მიაწერენ ბაგრატ III-ს... მაგრამ მის (უნდა: „მისს“) პლანს (არაბულია, თუ ქართული?) და ქუთაისის ბაგრატის ტაძრის პლანს შუა დიდი განსხვავებაა, ასე, რომ ჩვენის აზრით (ე. ი. გ. წერეთლის აზრით,—იხილეთ!) ბედიის ტაძარი უფრო ძველია და იმისი დაფუძნება უფრო უნდა მიეწერებოდეს ბაგრატის პაპას გიორგი მეორეს, აფხაზეთის მეფეს, ვიდრე თვით ბაგრატს, როგორც აქამომდე ამტკიცებენ. ამას მოწმობს მისი სადა ჯვარის სახე (რა?), რომლის აღმოსავლეთის კედელი გარედან პრტყელია და არა სამსატრაპეზო გრკალად გამოყვანილი, როგორც ბაგრატის ტაძარი ქუთაისში“. ამისთანა ჩხირ-კედელაობით უნდა გააუქმოს გ. წერეთელმა მთელი გუნდი თანამედროვეთა მოწმობისა! მერე რა საბუთია გ. წერეთლის საბუთი? თუ ეკკლესიათა სიძველეს საბოლოოდ ამტკიცებს მათის აღმოსავლეთის კედლის ბრტყელიანობა, ხოლო სამ-სატრაპეზო გრკალად მოყვანილობა მისი ამოწმებს მათს ახლიანობას, მაშინ ხომ სულ აგვერევა დავთრები, რადგან თითქმის ყველა ძველის VII—X საუკ. ტაძრების აღმოსავლეთის კედელი გრკლოვანია და არა ბრტყელი, მაგალითად ატენისა, ტფილისის სიონისა, მეტეხისა, სამებისა, მარტვილისა, მოქვისა, ბედიისა, სოუკსუსი, ბიჭვინტისა, ჯვარისა, და სხ. ხოლო მე-XI—XIII საუკ. ტაძრებსაც ხშირად ბრტყელი კედელი აქვთ, მაგ. სამთავისისას, ქვათახევისას, მცხეთისას, საფარისას, ფიტარეთისას და სხ. ვინ როგორც გინდათ, ისე იფიქრეთ, მაგრამ ჩემის აზრით-კი აქ ლაღადებს არა მეცნიერება, არამედ თვით უბრყვილი უმეცრება და ჩხირ-კედელაობა. ჭეშმარიტად მეტად გაზვიადებული აზრი უნდა შეადგინოს კაცმა თვისს მეცნიერებაზედ, რომ ამ გვარს ჩხირზე მჯდომარე პაწია მხედარმა რაინდად წარმოიდგინოს თავი და წინ გადაეღობოს თავისის რაშით ძველ გამოცდილ გმირთა მოწმობას. კუმ რო ფეხი გამოჰყოს და ნახირში გაერიოს, ეს გასაკვირველი არ არის, დიალაც შესაქცევარია, მაგრამ გ. წერეთლისა-კი რა მოგახსენოთ...

აი ამ ჯურის მეცნიერმა, რომელზედაც არასა სჭრის არც საბუთიანობა და არც დამტკიცება, პირველად მოჰკიდა ხელი და მუსრი გაადინა ჩემს „ქრონიკებში“ მოქცეულს ცნობებს გელათის აშენების შესახებ თავისს გრძელს წერილში: „როგორ აღშენდა გელათი“. ამ წერილში მისი ავქსონი ჯერ ვრცლად მოგვითხრობს თავისს ვინაობას, როგორც არქეოლოგისას, გვაცნობებს, რომ მას დღეს-კი არ დაუწყია არქეოლოგობა, არამედ 1881 წელსაც-კი იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ „მეხუთე საარქეოლოგიო კრების კომიტეტს გაუგზავნია იგი გელათის მონასტრის განსახილველად“. მაშინ მისი ყურადღება მიუქცევია გელათის მიდამოს და ძველის წყლის მილებს; იქ აღმოუჩენია მას სწორედ ის სარკოფაგების, თიხის ჭურჭლები და ფულები, რომელიც უჩვენეს მას ბერებმა. მერე კიდევ წასულა გელათის წარწერათა განსახილველად (ეს წარწერანი ბროსსემ ოცის წლით ადრე უკვე განიხილა და გამოსცა კიდეც), და მაშინაც კი „ხელში სჭერია ხუროთ-მოძღვრებითი გეგმა (?!) და ბროსსეს გამოკვლევა“. მას შემდეგ დიდხანს გაუვლია და უფრო დახელოვნებულა ხუროთ-მოძღვრებაში, ასე რომ „ახლა უფრო მეცნიერულად შემუშავებული გეგმები მაქვსო, (ე. ი. გ. წერეთელს აქვს) ხელში და ამასთანავე უფრო ვრცელი ქართული წერილობითი საბუთებიცა (იხილეთ! წინანდელი მოკლე საბუთი ეხლა გაგრძელდგავრცელებულა) *). ამასთან ავქსონს შეუსწავლია ხუროთ-მოძღვრებისა და „მხატვრობის ისტორიული მეცნიერება“ და შეუკრებია პოლივანოვის და კონდაკოვის ნაღვაწები და სხვა-და-სხვა. და აჰა, ეს ამოდენა მასალა შეუმუშავებია და მეცნიერულის თვალით განუხილავს ჩემს „ქრონიკებში“ დაბეჭდილი საბუთები და დასკვნები.

*) ნეტავ რად დაგვიმალა ავქსონმა ეს ახალი „ვრცელი ისტორიული საბუთები“? ავქ.

და აი რა ახალი (ვითომ?) აზრები დაუდვია: 1) გელათის მონასტერი დავით აღმაშენებელზედ ერთი (?!) საუკუნით კიდევ უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო (საბუთად მოჰყავს იგივე „მეცნიერულად შემუშავებული გეგმები, რომელიც ახლა ხელში ჰქონია ავქსონს); 2) „ამ მონასტერს ეტყობა კვალი გიორგი აფხაზთა მეფის მოღვაწეობისა, მისი (sic) შვილისშვილის ბაგრატ III დავით აღმაშენებელისა, დიმიტრი მეფისა და მათთა შთამომავალთა ბაგრატ მესამის იმერეთის მეფის დრომდე მე-XVI საუკუნემდი; 3) ეს მონასტერი ყოფილა მეათე საუკუნიდამ დაწყებული სრულიად საქართველოს მეფეთათვის სახელ განთქმული ლავრა“... 4) დავით აღმაშენებელს თურმე მხოლოდ ჩამოქცეული გუმბათი აუშენებია და სხვა.

ყოველივე ეს ახალია და მართო გ. წერეთლისაგან გამოგონილი, მისი აღმოჩენილი, მაგრამ, სავალალოდ ჩვენდა, აღმომჩენელს არავითარი საბუთი არ უჩვენებია, გარდა თვისის ხუროთ-მოძღვრებივის გეგმისა, „მხატვრობის ისტორიულ-მეცნიერებისა“ და შექეიფებულ ფანტაზიით ჰაერში ფრენა-რონინებისა. ეგებ ამგვარმა საბუთიანობამ ვინმე უსუსურთაგანი მართლა დაარწმუნოს, ხოლო ჩვენ-კი—ნუ იყოფინ!

(შემდეგი იქნება)

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ-იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პრო...კასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

## მოაგარაკენო

თელავში, ნადიკვარზედ მთელს ზაფხულს ქირით იძლევა ოთხი ოთახი ავეჯეულობით, სამზარეულოთითავის ქვაბ-ჭურჭლიანად. აქვს საკუთარი ეზო, სადაც მოთავსებულია პატარა ბაღჩა ჩრდილოიანი ხეებით, ჭა წმინდა და ცივი წყლით. ფასი სამ თვეს ათი თუმანი ფული წინათვე. ადრესი: И. Зарапишвили.

(4—4)

---

**ყვავილის აცრელი ექიმი პროზოროვსკი** სდგას—ვერის ჩასავალს, ოსიპოვის მამულში.

აცრა და გასყიდვა ყვავილის ჩირქისა არის ყოველ დღე, დილის 8 საათიდან 10-მდე, და შუადღის შემდეგ 3 საათიდან 5-მდე.

გარეშე ადგილებიდანაც, შეიძლება ჩირქის დაბარება, რაიცა გაგზავნილი იქნება საჩქაროდ და სუფთად.

(12—11)

---

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(250—163)

---

ახალი ამბავი!

## ლამპრის პატრუქები

გაჟღინთულია ახლად მოგონილის წამლით და არა ჩვეულებრივი წმინდა და ბრწყინვალე ალი აქვს, სრულიად არა ჭვარტლავს და არც სუნს აყენებს, ამასთან ნავთიც ძლიერ ნაკლებად იწვის

ეს პატრუქები ქალაქის საბჭოს დარბაზში გამოსცადეს, სადაც თვეზედ მეტია ჭხმარობენ და ამ ერთის თვის განმავალობაში ხმარებამ აშკარად დაანახვა ყველას მისი სიკეთე.

26 აპრილიდგან ამ პატრუქების სყიდვა შეიძლება შემდეგ აფთიაქის მაღაზიაებში:

პაპოვისა—მიხაილოვის ხიდზედ „გრანდ-ოტელის ქვეშ.

ა. ს. არისტაკოვისა—ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ და ვერაზედ, მაკაროვის სახლში.

კონსტანტინე ვართანოვისა—კუთხე მიხეილისა და ალექსის ქუჩებსა № 51, 1.

მაღრამისა—ავჭალის ქუჩაზედ.

ა. ზ. როსტომოვისა—პუშკინის ქუჩაზედ, ერევნის მოედნის პირდაპირ.

დ. მ. მირზოევისა—შუაბაზარში, მანთაშოვის სახლში.

ე. ფ. ჯანაღოვისა—რიყეზედ, მადერის სახლში და

ჭაჯი-ბაბა-ალიევისა—თათრის მოედანზედ, ნარიმანოვის სახლში.

ფასი აღნიშნულია თითონ პატრუქებზედ დაბეჭდილის ასოებით. პატრუქების ყიდვა შეიძლება, აგრეთვე თვით ამ პატრუქების მომგონთან, რიყის ქუჩაზედ, სახლი № 41, სადგომი მუჰამედ ხაჯიევისა.

(15—9)

---

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1839 წლის იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვია 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

„ურბენი“ (L'URBAINE)

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს გადასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლიაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—1061—5)

---



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

## ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 16.

---

## ასაპარელოს ესსენცია კოლბეირსა
(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.

---

დამზღვევი საზოგადოება
## „იაკორი“
(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს; გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2.


---

## „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

---





## VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკორი ბენიდიქტნი
Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

ყველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Etranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

**ისყიდება** საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში და ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.


Доз. ценз Тифлисъ, 25-го Мая 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.